

მოსამართლეობის კანდიდატების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები

№	გვარი, სახელი	ბიოგრაფია
1.	ბარამიძე ია	დაიბადა 1977 წლის 22 მარტს ქ. ქუთაისში. 1999 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2000-2005 წლებში მუშაობდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში სხდომის მდივნის თანამდებობაზე. 2005 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის საქალაქო სასამართლოში, თავდაპირველად სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე, ხოლო 2017 წლის ივნისიდან არის მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე (მწერალი-თანაშემწე). 2014 წელს იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
2.	ბარდაველიძე ლევან	დაიბადა 1967 წლის 23 ივნისს თერჯოლაში. 1995 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1993-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში, პარლამენტის მუშაობის დაგეგმვის დარგში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. 1997-2000 წლებში იყო შპს „სისტემა სოლო +“-ის იურისტი. 2000-2007 წლებში იყო თბილისის საოლქო, ხოლო შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (2002-2005 წლებში მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში). 2007-2018 წლებში მუშაობდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში სასამართლო წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსისა და ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობებზე. 2018-2020 წლებში იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ხოლო შემდგომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სასამართლო წარმომადგენლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე. 2020 წლიდან დღემდე არის შპს „აქტივების მართვის და განვითარების სააგენტო“-ს იურისტი.
3.	ბეზიაშვილი მიხეილ	დაიბადა 1971 წლის 16 ნოემბერს ქ. ზესტაფონში 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1991-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე: სამართლებრივი ინფორმატიკისა და კანონმდებლობის სისტემატიზაციის განყოფილების ინსპექტორი, უფროსი ინსპექტორი და თავმჯდომარის სამდივნოს უფროსი.

		1997-1999 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანცელარიის გამგე. 1999-2003 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში ადმინისტრატორის თანამდებობაზე. 2003-2015 წლებში იყო თავდაპირველად თბილისის საოლქო, ხოლო შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2015 წელს მუშაობდა შპს „საქართველოს მელიორაცია“-ში იურიდიული სამსახურის უფროსისა და გენერალური დირექტორის მთავარი მრჩეველის თანამდებობებზე. 2015-2019 წლებში იყო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2020 წლის მარტიდან დღემდე არის საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გენერალური დირექტორის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში.
4.	ბერეკაშვილი ქეთევან	დაიბადა 1974 წლის 20 აგვისტოს ქ. ქუთაისში. 2005 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია, ხოლო 2012 წელს მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2004-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში იურიდიული დახმარების ცენტრის ასისტენტის თანამდებობაზე. 2005-2007 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის მოწვეული სპეციალისტი. 2007-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამართლებრივი უზრუნველყოფის, ნოტარიატის და რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგისტრაციის სამმართველოს მრჩეველის თანამდებობაზე. 2011-2012 წლებში იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის იურისტი. 2012-2019 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე: მდივან-რეფერანტი, თამაშემწე, მწერალი თანაშემწე. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2009 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 2020 წლის მარტიდან დღემდე მუშაობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მდივან-რეფერანტის თანამდებობაზე.
5.	ბიწამე ეკატერინე	დაიბადა 1983 წლის 8 დეკემბერს ქ. ჭიათურაში. 2006 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი. 2005-2006 წლებში მუშაობდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ანალიზის და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი/ინსპექტორის თანამდებობაზე. 2006-2010 წლებში იყო მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის აპარატის სპეციალისტი. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

		2012 წლიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
6.	ბუხრაშვილი გიორგი	დაიბადა 1983 წლის 7 თებერვალს ქ. რუსთავში. 2005 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2003-2011 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე: დარბაზის მეთვალყურე, სხდომის მდივანი და მოსამართლის თანაშემწე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წელს დაინიშნა გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, ხოლო 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე არის სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრტი მოსამართლე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, 2019 წლის დეკემბრიდან არის ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
7.	გიორგაშვილი სანდრო	დაიბადა 1962 წლის 19 დეკემბერს ქ. ყვარელში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1990-1993 წლებში იყო სოფელ გავაზის საკრებულოს თავმჯდომარე. 1993-1999 წლებში იყო ყვარლის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული და სააღსრულებო წარმოების მოსამართლე. 1999-2004 წლებში იყო გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2005-2007 წლებში მუშაობდა გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში პროკურორის თანამდებობაზე. 2011-2012 წლებში იყო შპს „სოკარ-ჯორჯია გაზი კახეთი“-ს იურისტი. 2012 წლიდან დღემდე არის გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორი.
8.	გიორგაძე ნინო	დაიბადა 1984 წლის 29 სექტემბერს ქ. თბილისში. 2006 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2004 წელს იყო შ. რჩეულიშვილის სახელობის „დამოუკიდებელ ადვოკატთა კოლეგია“-ს სისხლის სამართლის განყოფილების უფროსი. 2005-2006 წლებში მუშაობდა ახალგაზრდა იურისტთა და ჟურნალისტთა ასოციაციაში იურიდიული განყოფილების თავმჯდომარისა და ადვოკატის თანაშემწის თანამდებობებზე. 2006-2008 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სტაჟიორი, ხოლო შემდეგ სასამართლო სხდომის მდივნის რეზერვი. 2008-2019 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სხვადასხვა თანამდებობებზე: სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველოს კონსულტანტი, ამავე სამმართველოს უფროსი კონსულტანტი, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის უფროსი კონსულტანტი.

		2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
9.	გოგალაძე ირმა	დაიბადა 1984 წლის 11 მაისს ქ. ხაშურში. 2006 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2007-2019 წლებში მუშაობდა ხაშურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2019 წელს იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
10.	გოგატიშვილი დიანა	დაიბადა 1975 წლის 4 აგვისტოს ქ. თბილისში. 1989 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1999-2005 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2006-2016 წლებში იყო თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს, ხოლო შემდეგ მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2016 წელს მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მთავარი კონსულტანტის თანამდებობაზე. 2017 წლის მაისიდან დღემდე არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
11.	გოგატიშვილი ნინო	დაიბადა 1984 წლის 17 იანვარს ქ. გორში. 2005 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2005-2009 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის მდივნის თანამდებობაზე. 2009-2016 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თავდაპირველად სხდომის მდივნის, ხოლო შემდეგ მოსამართლის რეფერენტის (თანაშემწე) თანამდებობებზე. 2016-2017 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2018 წლის მარტიდან დღემდე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მწერალ-თანაშემწე.
12.	გოგოლაძე ირინა	დაიბადა 1983 წლის 30 ოქტომბერს ქ. ბორჯომში. 2006 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის სამართლის ფაკულტეტი, მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი. 2005-2007 წლებში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაიარა თავდაპირველად პრაქტიკა, ხოლო შემდეგ იყო ამავე პალატის მოსამართლის სტაჟიორი. 2007-2018 წლებში მუშაობდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2018-2019 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი კონსულტანტი. 2019 წელს იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
13.	დარახველიძე გიორგი	დაიბადა 1979 წლის 7 მაისს ქ. ტყიბულში.

		2002 წელს დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2007-2009 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2009-2011 წლებში იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ამავე პერიოდში 2011 წლის 1 ნოემბრიდან მივლინებული იყო სენაკის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად და დაკისრებული ჰქონდა ამავე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება. 2012 წლის 1 იანვრიდან 3 დეკემბრამდე იყო სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2012 წლის 3 დეკემბრიდან 2013 წლის თებერვლამდე იყო საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2013-2019 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
14.	დოლიძე ვერა	დაიბადა 1970 წლის 22 აგვისტოს ქ. ქუთაისში. 1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1994-2001 წლებში მუშაობდა ქ. ქუთაისის პროკურატურაში თავდაპირველად სტაჟიორის, ხოლო შემდეგ პროკურორის თანაშემწის თანამდებობაზე. 2001-2012 წლებში სხვადასხვა დროს იყო ქუთაისის საოლქო, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სააპელაციო, ქობულეთის რაიონული, ბათუმის საქალაქო და ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2012 წლიდან დღემდე არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
15.	დუგლაძე ქეთევან	დაიბადა 1962 წლის 15 იანვარს ქ. ზესტაფონში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1992-1999 წლებში მუშაობდა დუშეთის #1 საშუალო სკოლაში საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლად. 1999-2019 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
16.	ეპიტაშვილი თეონა	დაიბადა 1988 წლის 4 დეკემბერს ქ. თბილისში. 2010 წელს დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი და მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2014 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2011-2019 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის საინფორმაციო ბიუროს კონსულტანტის, სასამართლო სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე.

		2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
17.	ესებუა ზვიად	დაიბადა 1968 წლის 9 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1990 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1991-1993 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ა/რ იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტად და წამყვან სპეციალისტად. 1993-2015 წლებში სხვადასხვა დროს იგი იყო ქ. სოხუმის სასამართლოს, თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს, თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ასევე გალი-გულრიფშის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. 1995-1999 წლებში იგი იყო სოხუმის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე. 2019-2015 წლებში იყო სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.
18.	ვარდანიძე გვანცა	დაიბადა 1979 წლის 7 იანვარს ქ. ქუთაისში. 2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1998-1999 წლებში იყო ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმისმწარმოებელი. 1999-2002 წლებში მუშაობდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს კანცელარიის მთავარ სპეციალისტად. 2002-2005 წლებში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2005-2018 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2018 წლის მაისიდან დღემდე არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მწერალი-თანაშემწე. 2019 წელს იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
19.	ვატიტაძე გრიგოლ	დაიბადა 1980 წლის 7 ოქტომბერს ქ. თბილისში. 2003 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2003-2004 წლებში იყო საადვოკატო ბიურო „მიგრიული და პარტნიორების“ იურისტი. 2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მომართვებისა და მიღების დეპარტამენტის უფროს სპეციალისტად. 2005-2006 წლებში იყო შპს „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის“ იურისტი. 2006-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

		2008-2014 წლებში იყო ქ. თბილისის მერიის სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი. 2014-2018 წლებში იყო შპს „ტრიდე კონსალტინგის“ დამფუძნებელი პარტნიორი. 2018-2019 წლებში მუშაობდა შპს „არქის“ იურისტად. 2014 წლიდან დღემდე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
20.	ზათიაშვილი ვერიკო	დაიბადა 1981 წლის 26 ივლისს, ქ. რუსთავში. 2003 წელს დაამთავრა თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2003-2005 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2005-2007 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის მთავარ სპეციალისტად. 2007-2013 წლებში მუშაობდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის იურიდიულ განყოფილებაში იურისტის, განყოფილების უფროსის მოადგილის და განყოფილების უფროსის თანამდებობებზე. 2013-2015 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 2015-2019 წლებში იყო იუსტიციის უმაღლეს სკოლის სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
21.	ზვიადაძე გიორგი	დაიბადა 1977 წლის 29 აპრილს ქ. ქუთაისში. 1999 წელს დაამთავრა ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2002-2005 წლებში იყო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2005-2007 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ. 2007-2009 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2009-2013 წლებში იყო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2013-2014 წლებში იყო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.
22.	თაყაძე თეა	დაიბადა 1980 წლის 11 ივლისს ქ. გორში. 2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2007-2008 წელს იყო მცხეთის რაიონულ სასამართლოს სხდომის მდივანი. 2008-2013 წლებში მუშაობდა გორის რაიონული სასამართლოში კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლად და სხდომის მდივნად.

		2013-2017 წლებში იყო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2019 წელს მუშაობდა იყო „PAEL Georgia“-ს იურისტი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
23.	თხელიძე ქეთევან	დაიბადა 1986 წლის 12 მაისს ხარაგაულში. 2007 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობაში. 2010 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობაში. 2008-2010 წლებში მუშაობდა თერჯოლის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2011-2014 წლებში იყო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს სხდომის მდივანი. 2014 წლის ივნისიდან დღემდე მუშაობს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მენეჯერის თანამდებობაზე. 2019 წელს იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
24.	იმერლიშვილი მარინე	დაიბადა 1966 წლის 10 ნოემბერს ქ. ხაშურში. 1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1993-1999 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი. 1994-1995 წლებში მუშაობდა აბაშის ჰუმანიტარულ და სამართლის ინსტიტუტის იურისტ-კონსულტანტად. 1999-2000 წლებში მუშაობდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2000-2005 წლებში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. 2005 წლიდან დღემდე არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
25.	კაკაურიძე შალვა	დაიბადა 1980 წლის 10 აპრილს ქ. ზესტაფონში. 2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომის მდივნად. 2005-2009 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი და მოსამართლის თანაშემწე. 2010-2012 წლებში სხვადასხვა დროს იყო სოხუმისა და გაგრ-გუდაუთის რაიონული სასამართლოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს, თელავის რაიონული სასამართლოს, სენაკის რაიონული სასამართლოს, საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2011 წელს დაკისრებული ჰქონდა სენაკის რაიონული სასამართლოს, ხოლო შემდეგ საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

		2012 წლის ივნისიდან დღემდე არის გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, 2019 წლიდან დეკემბრიდან არის ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
26.	კეკენაძე დავით	დაიბადა 1956 წლის 22 ოქტომბერს ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში. 1983 წელს დაამთავრა უდმურტის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1983-1989 წლებში მუშაობდა ქ. იჟევსკის ლენინის რაიონის უდმურტეთის პროკურატურის ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1992-1993 წლებში ეკავა ჭიათურის რაიონული პროკურატურაში პროკურორის თანამდებობის თანამდებობა. 1994-2001 წლებში იყო აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე. 2002-2013 წლებში იყო საჩხერის რაიონული, ქუთაისის საოლქო, ზუგდიდის რაიონული და სენაკის რაიონული სასამართლოების მოსამართლე. 2013-2015 წლებში სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში. 2016-2018 წლებში იყო საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრტი მოსამართლე ჭიათურის მუნიციპალიტეტში. 2019 წელს იყო ზუგდიდის რაიონული სასამართლოსა და ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლის დეკემბრიდან დღემდე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ, ასევე ფოთის საქალაქო სასამართლოში.
27.	კლდიაშვილი ლაშა	დაიბადა 1977 წლის 6 ივლისს ქ. თბილისში. 1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2001-2004 წლებში იყო თეთრიწყაროს რაიონის პროკურატურის გამომძიებელი. 2004-2005 წლებში ეკავა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობა. 2005-2007 წლებში იყო ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორი. 2007-2010 წლებში იყო შუახევის რაიონული პროკურატურის პროკურორი, ხოლო 2010-2016 წლებში ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორი. 2016 წელს ეკავა ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორის თანამდებობა. 2016-2017 წლებში იყო შსს გენერალური ინსპექციის საგამომძიებო სამმართველოს უფროსი. 2017 წლიდან დღემდე არის შსს გენერალური ინსპექციის საგამომძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე. 2019 წელს იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
28.	კობახიძე ქეთევან	დაიბადა 1980 წლის 19 ნოემბერს ქ. თბილისში.

		2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2002-2004 წლებში იყო შპს "თალაკვაძე და კომპანიას" კონსულტანტი. 2004-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სექტორის უფროსად და მთავარ მრჩეველად. 2006-2011 წლებში იყო კავკასიის უნივერსიტეტის კერძო სამართლის ლექტორი. 2008-2009 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი და მოსამართლის რეფერენტი. 2009-2010 წლებში მუშაობდა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრში სტრატეგიული განვითარებისა და სამართლებრივი საკითხების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე. 2011 წლიდან დღემდე არის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კერძო სამართლის ლექტორი. 2013-2014 წლებში იყო სსიპ "იუსტიციის სახლის" იურიდიული სამსახურის უფროსი. 2019 წლის მაისიდან დღემდე არის სიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული გაყოფილების უფროსი. 2015-2016 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
29.	კობახიძე ნანა	დაიბადა 1959 წლის 29 ივლისს ქ. ბათუმში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1978-1999 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მდივნის, სხდომის მდივნისა და კონსულტანტის თანამდებობებზე. 2004-2015 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2015 წლიდან დღემდე არის იურიდიული ოფისი "სალაყაია და კობალაძეს" იურისტი.
30.	კოპალიანი კონსტანტინე	დაიბადა 1984 წლის 6 იანვარს ქ. ქუთაისში. 2008 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2016 წელს დაამთავრა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი და მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2008-2012 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნის თანამდებობაზე. 2012-2019 წლებში იყო ამავე სასამართლოში მოსამართლის თანაშემწე. 2019 წელს იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
31.	კოჭლამაზაშვილი არჩილ	დაიბადა 1979 წლის 30 მაისს ქ.გურჯაანში.

		2002 წელს დაამთავრა საქართველოს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2006-2011 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მანდატურის თანამდებობაზე. 2011-2015 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მანდატური. 2015-2017 წლებში მუშაობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის სისხლის სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს კონსულტანტის თანამდებობაზე. 2017-2019 წლებში იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2020 წლის მარტიდან არის იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის კონსულტანტი.
32.	კობხრიძე ლეილა	დაიბადა 1978 წლის 15 თებერვალს ქ. მოსკოვში. 2000 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2015 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2001-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2006-2016 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2017 წლიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრი.
33.	ლობჯანიძე გიორგი	დაიბადა 1975 წლის 29 აგვისტოს ქ. ხაშურში. 1996 წელს დაამთავრა პროფესორ ჯ. ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2000-2006 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2006 წელს მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოში კონსულტანტის თანამდებობაზე. 2006-2007 წლებში იყო ჯავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2007-2017 წლებში იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2018 წლის თებერვლიდან დღემდე არის ააიპ „ოუფენ ნეტი“-ს იურისტი.
34.	მაისურაძე მადონა	დაიბადა 1976 წლის 30 სექტემბერს დაბან თიანეთში. 2005 წელს დაამთავრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2019 წლიდან არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი. 2005-2006 წლებში მუშაობდა შსს აკადემიაში სისხლის სამართლის, კათედრაზე მასწავლებლად. 2006-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე.

		2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წლის იანვრიდან არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს
35.	მამაცაშვილი ქეთევან	დაიბადა 1984 წლის 23 თებერვალს ქ. ჭიათურაში. 2006 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი. 2005-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში (შემდგომში სააპელაციო სასამართლო) მდივან – რეფერენტის, წამყვანი სპეციალისტის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში კონსულტანტის თანამდებობაზე. 2012 წლის მარტიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.
36.	მამულია რომან	დაიბადა 1963 წლის 15 თებერვალს სენაკში. 1990 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1992-1997 წლებში მუშაობდა სენაკის რაიონულ გამგეობაში იურისკონსულტის, იურიდიული სამსახურის უფროსის და მთავარი მრჩეველის თანამდებობებზე. 1998-2000 წლებში მუშაობდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ერთიან ფონდში სენაკის რაიონული განყოფილების გამგის მოადგილედ. 1997-2000 წლებში იყო საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის დოცენტი. 2000-2011 წლებში იყო სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, თავმჯდომარე. 2011 წლიდან დღემდე ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას. 2018 წლიდან არის #63-64 საოლქო საარჩევნო კომისიის იურისტი.
37.	მარშანია ნათია	დაიბადა 1985 წლის 14 ივლისს ქ. თბილისში. 2006 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი და მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2008 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი და მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2007-2008 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივანად. 2008-2017 წლებში იყო ამავე სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2017-2019 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მწერალ-თანაშემწედ. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
38.	მერაბიშვილი ნათია	დაიბადა 1981 წლის 2 ნოემბერს თბილისში.

		2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2005 წლის მარტიდან სექტემბრამდე მუშაობდა იურიდიულ ფირმა „დემოკრატია და სამართალი“-ში ადვოკატად, პარალელურად შპს „ახალციხის რაიონულ პოლიკლინიკაში“-ში იურისტის თანამდებობაზე და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში იურიდიული ფაკულტეტზე პედაგოგად. 2005-2011 წლებში მუშაობდა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012-2019 წლებში იყო ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლის ივლისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
39.	მესხიშვილი ქეთევან	დაიბადა 1981 წლის 5 დეკემბერს ქ. თბილისში. 2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფსკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2012 წელს დაამთავრა საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტურანტურა და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის მთავარ სპეციალისტად. 2005-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამშემწედ. 2006-2007 წლებში მუშაობდა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე. 2007-2008 წლებში მუშაობდა კავკასიის უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე. 2008-2010 წლებში მუშაობდა კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის სამართლის სკოლის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე. 2009-2010 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2010-2011 წლებში იყო სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მოსამართლის უფლებამოსილებას მივლინების საფუძველზე ახორციელებლდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. 2012 წლის იანვრიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2012-2014 წლებში იყო კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 2014 წლის სექტემბრიდან არის თავისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

40.	ნადოი რეზო	დაიბადა 1971 წლის 16 აგვისტოს ქ. თბილისში. 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1997-2004 წლებში საქართველოს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2004-2006 წლებში იყო საქართველოს გენერალურ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი. 2006-2009 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2009-2011 წლებში იყო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2011-2012 წლებში იყო „რეზო ნადოი“-ს იურიდიული ოფისის დამფუძნებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. 2012 წლიდან მუშაობს საქართველოს მთავარ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2018-2020 წლებში იყო საქართველოს მთავარი პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის თავდაცვის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსი. 2020 წლის მაისიდან არის საქართველოს გენერალური პროკურატურის თავდაცვის სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსი. მიღებული აქვს სამკერდე ნიშანი „წარჩინებული გამომძიებელი“.
41.	ნარიმანიშვილი დავით	დაიბადა 1977 წლის 16 დეკემბერს ქ. ვალეში. 1998 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს შსს აკადემიის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1998-2000 წლებში მუშაობდა შპს „სიმართლეში“ ადვოკატად. 2000-2003 წლებში იყო აიპ „დამოუკიდებელ იურისტთა კავშირის“ ხელმძღვანელი და ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2002-2003 წლებში იყო ახალციხის გამგეობის იურისტი. 2003-2004 წლებში იყო ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. 2004-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საოლქო პროკურორად. 2006-2007 წლებში იყო მიწვეული ლექტორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში. 2007-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, შემდგომ კი სამმართველოს უფროსად. 2010-2011 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2020 წლებში იყო გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავდროულად ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2020 წლის ივლისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე. 2008 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.
42.	ნაჭყებია ნინო	დაიბადა 1983 წლის 22 დეკემბერს ქ. თბილისში.

		2006 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სოციალურ-პოლიტიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2006-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში კანცელარიის სპეცლიასტის, სხდომის მდივნის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში კონსულტანტის თანამდებობაზე. 2012 წლის მარტიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
43.	ოტიაშვილი ზაია	დაიბადა 1978 წლის 3 თებერვალს ქ.ახმეტაში. 2000 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1998-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამომძიებლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2002-2011 წლებში მუშაობდა გლდანი-ნაძალადების რაიონულ და თბილისის საქალაქო სასამართლოებში სხდომის მდივნის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2011-2019 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
44.	ქორჭოლიანი დურმიშხან	დაიბადა 1963 წლის 1 მაისს ქ. ქუთაისში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1986-1991 წლებში მუშაობდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში იურისკონსულტის თანამდებობაზე. 1993-1997 წლებში იყო ქუთაისის რეგიონალური სამხედრო სასამართლოს მოსამართლე. 1999-2006 წლებში ახორციელებდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას. 2006-2016 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2017 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას.
45.	რამიშვილი ზაზა	დაიბადა 1961 წლის 7 სექტემბერს დაბა ქარელში. 1985 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1985-1987 წელს მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში ინსპექტორის, უფროსი ინსპექტორის და კონსულტანტის თანამდებობებზე. 1987-2007 წლებში იყო ქარელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, თავმჯდომარე. 2007 წლის მაისიდან დღემდე არის ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.
46.	სეფიაშვილი ოლია	დაიბადა 1960 წლის 30 ოქტომბერს დედოფლისწყაროს რაიონში.

		1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1986-1991 წლებში იყო წითელწყაროს რაიონის სახელმწიფო ნოტარიუსი. 1991-2001 წლებში იყო დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მოსამართლე. 2002-2011 წლებში იყო ყვარლის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2012 წლის მარტიდან დღემდე არის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს "დავების განმხილველი ცენტრი"-ს არბიტრი.
47.	სვანაძე დავით	დაიბადა 1960 წლის 23 ივნისს ქ. წყალტუბოში. 1986 წელს დაამთავრა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლა და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1978-1982 წლებში მუშაობდა წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში მილიციელად. 1986-1988 წლებში მუშაობდა ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში გამომძიებლად. 1988-1993 წლებში მუშაობდა წყალტუბოს შსს საქალაქო განყოფილების მოკვლევის სამსახურის უფროსი ინსპექტორის და საგამომძიებო ქ/განყოფილების გამომძიებლის თანამდებობებზე. 1994 წელს მუშაობდა საქართველოს შსს საგზაო პოლიციის სამმართველოს იმერეთის საგამომძიებო ჯგუფის უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე. 1994-1995 წლებში მუშაობდა სატრანსპორტო საგამომძიებო სამმართველოს ქუთაისის განყოფილების უფროსად. 1995-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს შსს საგამომძიებო დეპარტამენტის იმერეთის მხარის საგამომძიებო განყოფილების უფროსის, უფროსის მოადგილის და უფროსი გამომძიებლის თანამდებობებზე. 2000-2001 წლებში მუშაობდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ. 2001-2005 წლებში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. 2005-2012 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2005-2007 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე. 2012 წლის დეკემბრიდან არის სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.
48.	სირბილაძე ცისანა	დაიბადა 1965 წლის 14 თებერვალს ქ. საგარეჯოში. 1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1994-1999 წლებში მუშაობდა სადაზღვევო კომპანია შპს "ფარის" იურისტად. 2000-2005 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ. 2005-2006 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2006-2012 წლებში იყო საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

		2012-2016 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2016 წლის მაისიდან მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ. 2016 -2017 წლებში მუშაობდა ამავე სასამართლოში მაგისტრის თანამდებობაზე. 2017-2020 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. 2020 წლის ივნისიდან არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფში უფროსი ანალიტიკოსი.
49.	სტურუა ბიძინა	დაიბადა 1980 წლის 17 ივლისს ქ. ქუთაისში. 2002 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2005 წელს დაამთავრა ვესტფალიის მიუნსტერის ვილჰელმის უნივერსიტეტის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2015 წლიდან დღემდე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. 2006-2010 წლებში მუშაობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2012 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2012 -2019 წლებში იყო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2019 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლის დეკემბრიდან არის მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
50.	უბილავა გიზო	დაიბადა 1978 წლის 19 სექტემბერს ქ. გალში. 1998 წელს დაამთავრა თბილისის საერო უნივერსიტეტი „აღმაშენებელი“ და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2006 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი. 1999-2002 წლებში მუშაობდა გალი-გულრიფშის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2002-2004 წლებში იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორი. 2004-2005 წლებში მუშაობდა იურიდიული საკონსულტაციო კავშირი „ვექილის“ ადვოკატად. 2005-2013 წლებში მუშაობდა ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურაში პროკურორის თანამდებობაზე. 2013 წელს იყო მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორის მოადგილე.

		2013-2016 წლებში იყო სამეგრელო ზემო-სვანეთის საოლქო პროკურატურის საოლქო პროკურორი. 2016-2018 წლებში მუშაობდა ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურაში პროკურორის თანამდებობაზე. 2018-2019 წლებში იყო ქ.თბილისის პროკურატურის პროკურორი. 2019 წელს იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2019 წლის ოქტომბრიდან დღემდე მუშაობს შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ იურისტად.
51.	ურთმელიძე თამაზ	დაიბადა 1975 წლის 11 აპრილს დაბა ცაგერში. 1997 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია. 2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1997-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის საბჭოში თანაშემწის და სექტორის უფროსის თანამდებობებზე. 2004-2006 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას შპს „პარტნიორში“. 2006 წელს იყო ცაგერის რაიონის მოსამართლე. 2006-2009 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2009-2010 წლებში იყო ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2010-2016 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2016-2017 წლებში იყო შპს „ლუკას“ იურისტი. 2016 წლიდან დღემდე არის შპს „თი ენდ ემ კონსალტინგი“-ს დამფუძნებელი, ადვოკატი. 2020 წლის თებერვლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
52.	ფუხაშვილი მორის	დაიბადა 1961 წლის 28 თებერვალს ქ. გარდაბანში. 1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1984-1987 წლებში მუშაობდა ქ. რუსთავის პროკურატურაში სტაჟიორ-გამომძიებლის, უფროსი გამომძიებლის და პროკურორის თანაშემწის თანამდებობებზე. 1987-1992 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებო სამმართველოს პროკურორი. 1992-1998 წლებში იყო ქ. თბილისის ისნის რაიონის პროკურატურის პროკურორის თანაშემწე. 1999-2005 წლებში იყო თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2005-2013 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2013-2019 წლებში იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრადი მოსამართლე თიანეთის მუნიციპალიტეტში.
53.	ქათამაძე პაატა	დაიბადა 1966 წლის 11 ივნისს ქ. ზესტაფონში.

		1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1995-1997 წლებში მუშაობდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტში კომიტეტის თამჯდომარის მრჩეველის თანამდებობაზე. 1998-2000 წლებში იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მრჩეველი. 2001-2003 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2003-2006 წლებში იყო ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2005-2006 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2006-2010 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. 2010 წლის ივნისიდან დღემდე არის საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. 2019 წლის ივნისიდან არის საქ. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე.
54.	შკუბულიანი ლელა	დაიბადა 1964 წლის 3 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1992-1999 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტი. 1999-2000 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მისაღების უფროსი, შემდგომ მოსამართლის თანაშემწე. 2000-2005 წლებში იყო თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2005 წლის მაისიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
55.	შოშიაშვილი მაია	დაიბადა 1964 წლის 22 მაისს ქ. სიღნაღში. 1988 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1990-1993 წლებში მუშაობდა საწარმო გაერთიანება "აზოტი"-ს იურიდიული განყოფილებაში იურისკონსულტის თანამდებობაზე. 1994-1999 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 1999-2009 წლებში იყო სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2009 წელს იყო თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2009-2012 წლებში იყო სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის სასამართლოს მოსამართლე. 2012-2018 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2018-2019 წლებში იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2019 წლის ოქტომბრიდან დღემდე არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრი.
56.	შჩერბაკოვი ნინო	დაიბადა 1985 წლის 15 ნოემბერს ქ. თბილისში.

		2007 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი და მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2009 წელს დაამთავრა საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი და მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2009-2016 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2016-2018 წლებში იყო ამავე სასამართლოში მწერალი თანაშემწე-მთავარი კონსულტანტი. 2018-2019 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მწერალი თანაშემწე- მთავარი კონსულტანტი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
57.	ჩაგუნავა კობა	დაიბადა 1987 წლის 19 აგვისტოს მარტვილის რაიონში. 2008 წელს დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2011 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2011-2013 წლებში იყო ფოთის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნი, შემდგომ მოსამართლის თანაშემწე. 2013-2016 წლებში იყო ამავე სასამართლოს მენეჯერი. 2016-2018 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2018-2019 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე-მთავარი კონსულტანტი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
58.	ჩიქოვანი გვანცა	დაიბადა 1989 წლის 8 აგვისტოს ქ. თბილისში. 2010 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2012 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2011-2016 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2016-2019 წლებში იყო ამავე სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე-მთავარი კონსულტანტი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
59.	ცაგარეიშვილი ლელა	დაიბადა 1985 წლის 22 ივლისს ქ. გაგრაში. 2009 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2011 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2010-2011 წლებში იყო შპს „ვინდიკატი“-ს იურისტი და ამავე შპს-ს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის თავმჯდომარე.

		2012-2015 წლებში მუშაობდა სსიპ შემოსავლების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე: დავების დეპარტამენტის სასამართლო დავების სამმართველოს ასისტენტი, ამავე დეპარტამენტის საჩივრების სამმართველოს სპეციალისტი, სასამართლოს დავების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი და მთავარი სპეციალისტი. 2015-2018 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე. 2018-2019 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი კონსულტანტი-მოსამართლის თანაშემწე. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
60.	ცეცხლაძე ნარგიზ	დაიბადა 1966 წლის 16 ოქტომბერს ხულოში. 1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1991-1996 წლებში იყო ქ. ბათუმის მერიის მთავარი ეკონომიკური სამმართველოს იურისტი. 1996-2004 წლებში მუშაობდა თავდაპირველად აჭარის ა/რ იუსტიციის სამინისტროში, ხოლო შემდეგ აჭარის იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2004-2005 წლებში იყო შპს „ბათუმის სამშობიარო სახლი“-ს იურისტი. 2005-2007 წლებში იყო ჯავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მივლინების საფუძველზე ახორციელებდა მოსამართლის უფლებამოსილებას ბათუმის საქალაქო სასამართლოში. 2007-2014 წლებში ირიცხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში. 2014-2015 წლებში დაკისრებული ჰქონდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება. 2010 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
61.	ხაბალაშვილი ნინო	დაიბადა 1983 წლის 10 ოქტომბერს ქ. თბილისში. 2005 წელს დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2006 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2016 წლის მაისიდან არის მოსამართლის თანაშემწე (მთავარი კონსულტანტი). 2015-2016 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
62.	ხარჩილავა ხათუნა	დაიბადა 1977 წლის 18 მარტს ქ. სოხუმში. 2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1999-2003 წლებში მუშაობდა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრში მთავარი სახელმწიფო მრჩეველის თანამდებობაზე.

		2003-2005 წლებში იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში სხდომის მდივანი. 2006-2011 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანამემდევნის თანამდებობებზე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წლის 21 მაისს დაინიშნა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, ხოლო ამავე წლის ივნისიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
63.	ხუსკივაძე ირაკლი	დაიბადა 1990 წლის 26 მაისს ქ. ზესტაფონში. 2012 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2015 წელს დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2013-2019 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში შემდეგ თანამდებობებზე: კანცელარიის განყოფილების სპეციალისტი, სხდომის მდივანი და მოსამართლის თანამემდევნი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
64.	ხუჭუა ვლადიმერ	დაიბადა 1976 წლის 7 ნოემბერს ქ. ქობულეთში. 1998 წელს დაამთავრა თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „იბერია“-ს იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1997-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პოლიციელისა და ოპერატიული მუშაკის თანამდებობებზე. 2002-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში იურისტის თანამდებობაზე. 2004-2011 წლებში იყო საქართველოს პროკურატურაში თავდაპირველად სამმართველოს უფროსი, ხოლო შემდეგ დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. 2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2012 წელს დაინიშნა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე, ხოლო ივნისიდან საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ და დაეკისრა ამავე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება. 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე არის თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
65.	ჯავახიშვილი მაია	დაიბადა 1978 წლის 26 ნოემბერს გურჯაანში. 2003 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2001-2005 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 2006-2007 წლებში მუშაობდა კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში იურისტის თანამდებობაზე.

		2007 წელს იყო თელავის მუნიციპალიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში. 2007-2009 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2010-2011 წლებში მუშაობდა „სს პროკრედიტ ბანკში“ იურისტად. 2011-2020 წლებში მუშაობდა შპს „საქართველოს ფოსტაში“ იურიდიული სამსახურის უფროსისა და გენერალური დირექტორის მრჩეველის თანამდებობებზე. 2018 წლიდან დღემდე არის შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი. 2018 წლიდან დღემდე არის შემდეგი ორგანიზაციების იურისტი: შპს „ლინემა ფარმი“, შპს „ვერონა“ და სს ჩაჩავას კლინიკა.
66.	ჯვარშიშვილი მაია	დაიბადა 1972 წლის 16 ოქტომბერს ქ. სამტრედიაში. 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 1999-2004 წლებში იყო გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე. 2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველოს სისხლის სამართლის საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოების განყოფილების კონსულტანტის თანამდებობაზე. 2005-2007 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს მთავარი კონსულტანტი. 2007-2010 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2010-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატში საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობის ჯგუფის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. 2012-2015 წლებში იყო სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საქმისწარმოებისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი. 2015 წლიდან დღემდე არის საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორი.
67.	ჯინჯოლია მიხეილ	დაიბადა 1987 წლის 24 აპრილს ქ. თბილისში. 2008 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2014 წელს დაამთავრა კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, მიენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2011-2019 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში შემდეგ თანამდებობებზე: პროკურატურის სტაჟიორი, საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს გ.მ.ს.

		გამომძიებელი, მთავარი პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს გ.მ.ს. გამომძიებელი და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი. 2019-2020 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
--	--	--